№ 90

ხუთშაბათი, 30 აპრილი, 1898 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 90

ხუთშაბათი, 30 აპრილი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ ჰოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—6.—26)

**ვეისრულოგ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
(50—80—4).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ფუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. ზრორტასჯგიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან და სრულიად სამსახურიდგან თავისავე თხოვნით ავადმყოფობისა გამო, შორაპნის მაზრის უფროსი, სტატსკი სოვეტნიკი ჯაყელი.

დანიშნულ იქმნა ბაქოს გუბერნიის, ლენქორანის მაზრის უფროსის უფროსი თანაშემწე, კოლეჟსკი სოვეტნიკი ნეტკაჩევი—შორაპნის მაზრის უფროსად.

გამწესებულ იქმნენ დეკანოზის შვილი ნიკოლოოზ დავიდოვი და მღვდლის შვილი ალექსანდრე მებურიშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მე-6 ხარისხის მოხელეებად, პირველი—ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა და მეორე—ხაშურის კანტორისა: ქიშვერდი დარჩია—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად, და სიმონ აბულაძე—დერბენდის საქალაქო პოლიციის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 30 აპრილს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელზედაც განხილული იქმნება ის, თუ როგორ უნდა აღმოეჩინოს შემწეობა კავკასიაში მოუსავლობით დაზარალებულთ.

*** შაბათს, 2 მაისს, „ტფილისის კრუჟოკის“ სადგომში ა. ვ. პასტუხოვი წაიკითხავს საჯარო ლექციას იმის შესახებ, თუ მეორედ როგორ ავიდა იალბუზზედ. შემოსავალი გადადებული იქმნება რუსეთსა და კავკასიაში მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

*** იმ კომისიის წევრებად, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის ისტორიის პროგრამის შემუშავება, მიწვეულ იქმნენ სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი ე. თაყაიშვილი და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მდივანი ბ-ნი დ. კარიჭაშვილი.

*** სამშაბათს, 27 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა თავ. ნ. თაქთაქიშვილის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ სვიმონ ბათიაშვილის მოკვლა განეზრახა და ამ აზრით დაეჭრა იგი წარსულის წლის 18 მაისს დ. ცხინვალში. ოლქის სასამართლომ თავ. თაქთაქიშვილი, 23 წლისა, დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ტობოლსკის გუბერნიაში გარდასახლება. ტფილისის სასამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და დაადგინა: ჩამოერთვას ყოველგვარი უფლება და უპირატესობა ბრალდებულს და გაგზავნილ იქმნას ასტრახანის გუბერნიაშიო.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ტფილისის ბოქაულებს, რომ შეადგინონ სია ყველა იმ ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომხებისა, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ. ამასთან მათ უნდა აღნიშნონ ისიც, ვის აქვს პასპორტი და ვის არა.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ ბაქოდგან, რომ ნავთის მწარმოებელთა კრებამ დაადგინა ხელი შეუწყოს ტფილისის შუამდგომლობას პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეში და მუდამ წელს დაეხმაროს მას 17,000 მან.

*** განჯიდგან სწერენ გაზ. „კავკასს“, რომ აქ 23 აპრილს, ახალგაზდა კაცმა მელიქ-შახნაზაროვმა თოფით მოჰკლა თავისი მოხუცებული მამა. მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მამა სასტიკად ექცეოდა და სტანჯავდა თურმე თავის ცოლ-შვილს. მოხუცებული დედა, რომლისთვისაც ყოველ დღე უცემია და ისე უწვალებია, რომ დაუბრმავებია კიდეც, სახლიდგან გაქცეულა და სოფელში დასახლებულა. ცოლს არამც თუ სცემდა, მოკვლაც-კი განიზრახა თურმე. ხოლო შვილი, რომელიც დედასა და დიდედას ეშველებოდა ჰლექში ჩაუგდია. მკვლელობის დღეს, მამას საშინლად უცემია თავის ცოლისთვის, შვილს ვეღარ მოუთმენია, დაუვლია თოფისთვის ხელი და იქვე მოუკლავს მამა.

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

დარდი მკლავს, დარდი მაწუხებს,
დარდი გულს მიღრღნის ტიალი,
დარდს ვერ გადმიყრის გულიდგან
სხვა ქვეყნად ზამბახ-იანი,
თუ გამახარებს, ისევე
ჩემი ქვეყანა კლდიანი,
სადაცა გაიქვთ წყაროთა
გულის საამო ჩხრიალი.

ხელოსანი

### ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოს ქართლ-კახეთის ეპარქიისა.

არიან ადამიანნი, თითქოს განგებისაგან გაჩენილნი რაიმე საქმისათვის. ამათგან არის დაშთენილი ხშირად ღრმა კვალი ცხოვრების ხნულში. ამ რჩეულთ ეკუთვნის, სხვათა შორის, უმაღლესად დანიშნული გორის ეპისკოპოსად, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, საქართველოს საექსარხოსოს ვიკარი.

დიდ არს და ძნელ საეპისკოპოსო მოღვაწეობა, ეკლით და ნარით ფენილ არს გზა სამღვდელო-მთავრო მათის სარბიელისა! ეპისკოპოსს მეტად, ვიდრე სხვა ვისმე, სჭირია იყოს დაჯილდოვებული უხვად ზეციურის მადლით: იგი უნდა წარმოადგენდეს მოწინავეს და მესვეურს, თავისი დროის წოდების წევრს, იყოს აღჭურვილი დიადის გონებრივისა და ზნეობრივის მადლით; მტკიცე, შეურყეველის ხასიათითა და პატიოსნებით; ქრისტიანულის მოყვასისადმი სიყვარულითა და საზოგადო საქმისათვის თავ-დადებით; პირადის მაღალის ზნეობით და წმიდა ღვაწლით ქრისტეს ეკკლესიისა და ერის წინაშე. მძიმე მოვალეობა აწევს მღვდელ-მთავარს, როდესაც ეკკლესიასა და სამშობლოს მოელის რაიმე საფრთხე და შიში; როდესაც მტერი, ვითა მძვინვარე მტაცებელი მგელი, მზა არს შევარდეს ფარეხსა ქრისტეს ეკკლესიისასა, რათა დაჰგლიჯოს ცხოვარნი მისნი და განფანტნოს წმინდაჲ სამწყმსო მისი. „მეცნიერებით აუწყე სულსა სამწყსოსა შენისასა და რათა დაადგინე გული შენი სამწყსოთა შენთა მიმართ“ (იგავი 22, 23). საჭიროა დიდად მღვდელ მთავარი განაღვიძებდეს და ჯეროვანად ჰკურნებდეს სულთა მძინარე უღირსთა მწყემსთა, რათა იგინი არევთა თვისთაგან მგელთა მტაცებელთა განაგდებდნენ და სულთა დასდებდნენ სამწყსოსა თვისისათვის, რათამცა არა მყვედრებელ იქმნენ პირველის მის მწყემსთ-მთავრის მიერ სიტყვითა იერემია წინასწარმეტყველისათა, რომელი იტყვის: „ვ მწყემსნო, წარმწყმენდელნო და განმაბნეველნო ცხოვართა ნაძოვრისა ჩემისათა, იტყვის უფალი. ამისათვის იტყვის უფალი ღმერთი ისრაილისა მწყემსთა ზედა, მწყსელთა ერისა ჩემისათა „თქვენ განაბნიენით ცხოვარნი ჩემნი და განაგარეენით იგინი, და არა მოიხილენით იგინი.—აჰა მე შურ ვიგო თქვენ ზედა, ბოროტთაებრ სიმარჯვეთა თქვენთა, თქვა უფალმან (იერემია 23, 1).

საქართველოს ეკლესია იმ თავითვე იმითი იყო მტკიცე და შეურყეველი, რომ განგება უგზავნიდა ისეთს მოღვაწეებს, რომელნიც თავგანწირულად ჰშრომობდნენ მისდა საკეთილდღეოდ, მისის გონებითისა და ზნეობითის განვითარებისათვის. ასეთის ზნეობისანი იყვნენ ჩვენნი ძველნი მღვდელ-მთავარნი და ეპისკოპოსნი. იმათი ფიქრი და გრძნობა ქვეყნის დიდებას დასტრიალებდა თავს, რომლის გარეშე ყოველივე მისწრაფება და წადილი იყო „ამაოება ამაოთა“ (ეკკლესიასტ 1,2). ისინი მოწინავე რაზმში იდგნენ, კვერთხით და ჯვარით ებრძოდნენ მტერსა, ლოცვით და ვედრებით სასოებასა და ნუგეშს ჰფენდნენ საქართველოსა. იმათი სიქველე, მაღალი ზნეობა, დიადი გონებრივი ძალა, შეურყეველი პატიოსნება, მოძმეთა სიყვარული, ჩაგრულთა და მაშვრალთა შებრალება, დაუღალავი შრომა, მტკიცე სარწმუნოება დღევანდელის ქართველებისათვის გახდნენ სანთლით საძებარნი ყოველ წოდებაში. დიდი, ძალიან დიდი, დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის სამღვდელოებას სამშობლოსა და ქრისტეს ეკკლესიისა წინაშე. მართლ მადიდებელი სარწმუნოება და თავ-განწირული სამღვდელოებაი, ის მძლეთა-მძლე ბურჯი, ის მტკიცე და შეურყეველი სალი კლდე, რომელზედაც მუდამ მაგრად იდგა ქართველი ერი და რომელთაც ფეხზედ წამოაყენეს, წარმატების გზაზედ დააყენეს, განაცხოველეს და განაძლიერეს მისი საზოგადოებრივი ცხოვრება; შეჰქმნეს მისი მრავალ-საუკუნოვანი ისტორია; მისცეს და დაიცვეს მის ეროვნული თვით-არსებობა და სხვა და სხვა.

სამწუხაროდ, ულმობელთა დროთა ბრუნვამ სრულებით შესცვალა ის მაღალი ზნე, ის მთავარი აზრი და წმიდა გრძნობა, რომელიც სხივოსანის შარავანდედით ამკობდა ძველის სამღვდელოების, ბერთა და მონაზონთ ღვაწლს სამშობლოს და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. მონასტერნი და ლავრანი დაცარიელდნენ, სამღვდელონი და მონაზონნი ზნითა და ქცევლობით დაკნინდნენ. მღვიმესა და მღაროში მოღვაწეობა თითქმის აღარავის იზიდავდა; ხოლო თუ ვინმე ამ მოღვაწეობას ხელს ჰკიდებდა, მომეტებულნი წარსულს ზნესა, მცნებასა და აღთქმას აღარ მისდევდნენ.

სასიხარულოდ, ამ ბოლოს დროს

*** გაზეთ „კავკასის" სიტყვით, 1898 წლისთვის ქ. ტფილისში იყო 18 სამრევლო საეკკლესიო და წერა-კითხვის სკოლა, ტფილისის მაზრაში—14 სკოლა, ბორჩალოს მაზრაში—7, გორისა—13, ახალციხისა—3, ახალქალაქისა—1, თელავისა—11, თიონეთისა—2, სიღნაღისა—8 და დუშეთისა—4.

*** სიღნაღი. უკვე გამოირკვა, რომ აქაურ საფოსტო კანტორაში გაუფლანგავთ 2,000 მან. დაკარგულ პაკეტებს შორის ერთი სახელმწიფო პაკეტი ყოფილა, რომელშიაც 200 მან. დებულა ლორიის რაზმის სახელობაზედ. ამ გაფლანგულ ფულის ერთი ნაწილი (1,100 მანეთამდის) შემდეგში შეუვსიათ ყველა მოხელის აპრილის ჯამაგირებით, რომლის სრულად მიღებაზედაც ყველას ხელი უნდა მოეწერა. თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნა კანტორის უფროსი. საქმეს იძიებს სიღნაღის ნაწილის გამომძიებელი ფრეიმანი („ახ. მიმ.").

*** 26 აპრილს, ვორონცოვის ქუჩაზედ, ზარგარიანცის ტყავის ქარხანაში, ციმბირის ჭირით ავად გახდა ილიკო დათიკაძე. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო ქარხანაში დროებით მუშაობა შეაჩერეს. 27 აპრილს ქარხანა ექიმებისა და პოლიციისაგან შემდგარმა კომისიამ გასინჯა, რომლის აზრითაც დათიკაძეს ციმბირის ჭირი ნედლი ტყავისაგან გაუჩნდა. ამიტომ კომისიამ ქარხანაში დეზინფექცია მოახდინა.

## შემოწირულება

სია იმათი, ვინც „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გასამართ ბაზრობისათვის საჭირო ნივთების შესაძენად შემოსწირეს ფულად: ვას. ჯაფარიძე—1 მ., ი. კახიანი—1 მ., ნ. ბაქრაძე—წყვილი ნუხური ბალიში, ქოშები და 1 მ., ა. სარაჯიშვილი—5 მ., პლატონ აბულაძე—3 მ., ილ. წერეთელი—1 მ., სოლ. დოლიძე—3 მ. 32 კ., ა. ქრთველიშვილი—1 მ., მ. თაქთაქიშვილი—5 მ., ზ. ფალავანდიშვილი—3 მ., ა. ამბოკაძე—2 მ., ტორტარიშვილი—1 მ., ს. კლიმიაშვილი—1 მ., ხ. უხნაძე—2 მ., ა. მიქაბერიძე—1 მ., პ. მირიანაშვილი—1 მ., ლ. ფურცელაძე—2 მ., მიმინაშვილი—2 მ., ჟღენტი—1 მ., ნ. მეძღოლვი—3 მ., ლ. ხარაძე—3 მ., ელენე აბულაძე—3 მ., გოგოხია—1 მ., ივანე პაპავა 1 მ., დიმიტრი ბაქრაძე 1 მ. და მ. მიქაბერიძე 1 მ. სულ 50 მანეთი 32 კაპ.

ამ ფულით შეძენილ იქმნა შემდეგი ნივთები:

ალის ფერი აბრეშუმის საბანი; ლურჯი აბრეშუმის საბანი; ორი ტულზედ ნაკერი რგვალი სტოლის საფარი; ორი წინსაფარებელი (ჩითისა), სამი ჩითის კაბა (ბავშისა); საქანაოს (კაჩალკის) გადასაფარებელი თავის მუთაქით; 18 ნაჭერი ბავშის სარეცხი (ოთხი წლისათვის); სამი ნაკერი პირსახოცი, ორი ხილის სალფეტკი; ნაკერი ხავერდის ბალიში., ორი წითელი ატლასის ნაკერი ბალიში., ერთი მუთაქა., ერთი რგვალი სტოლის სუფრა და ორი შანდლის დასადგამი გაუთავებელია., ორი ნუხური ბალიშის პირი., ერთი წყვილი ქოშები. სულ 43 ნაჭერი.

## თავ. ა. ა. არღუთინსკის წერილის გამო

(„ივერია" № 79)

„ივერიის" მე 79 №-ში მოთავსებულია წერილი თავ. ა. ა. არღუთინსკისა, რომელშიაც იგი თხოულობს ცნობებს მოუსავლობით დაზარალებულ სოფლების შესახებ, სხვათა შორის, თელავის მაზრის შესახებაც. თუ დაგვიანებული არ იქმნება 15 აპრილს დასტამბულს წერილზედ 23 ს პასუხი უნდა მოგახსენოთ, რომ მოუსავლობისაგან დაზარალებულია მთელი კახეთი და ამ ზარალს ეწევა იგი დიდი ხანია. მაგრამ ზემორე ხსენებული დეპეშა შეეხება 1897 წელს და მეც ამ წელს დაზარალებულთა შორის მოვიხსენიებ უფრო მეტად დაზარალებულ სოფლებს: ქისტაური, ახაშენი, ზემოხოდაშენი, აწყური, თელაური, იყალთო, რუისპირი, ახატელი, ხორხელი, ოჟიო, შალაური, კისისხევი, წინანდალი, კონდოლი, ქვემო-ხოდაშენი, ვანთა-ბუშეტი, აკურა, ვაჩნაძიანი, კალაური, ბაბიანი, ურიათ-უბანი, ართანა, ნაფარეული, შაქრიანი, ენისელი, გრემი, საბუე და შილდა. ეს სოფლები დაზარალდა მოუსავლობით. მოუსავლობის საზოგადო მიზეზის გარდა გვალვიანი შემოდგომა, — ცივი გაზაფხული, პირველში გვალვიანი ზაფხული, ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა იყო მიზეზი, განსაკუთრებით-კი სეტყვა. მართალია, სეტყვა ყველგან ერთნაირად არ მოსულა, ზოგ სოფელს ნახევარი მოსავალი გადურჩა, მაგრამ ზოგი-კი ისე ჩარეგვა, რომ ვერაფერს ვერ გამოჰრჩენ; ამისთანებში ურევიან ქვემო-ხოდაშენი, წინანდალი, ვანთა-ბუშეტი და სხვ. ჭირნახულის ნაკლებად მოსვლის გარდა, რაც უმთავრესს ცხოვრების წყაროს არ შეადგენს, ამ სოფლებში იყო ნაკლები და ზოგან სრულიად არ იყო მოსავალი ღვინისა, რაც მთავარი საწარმოებელი წყაროა ამ სოფლელებისათვის. ზედიზედ მცირე მოსავალთან წელიწადებს დაემატა სრულიად მოუსავლობა და მთელი ხალხი ჭირის-უფლად გადაიქცა. ჭირისუფლობდა და ჭირისუფლობს დღიურ საზრდოს უქონლობასა; ჭირისუფლობდა და ჭირისუფლობს აუცილებელ გარდასახადის უქონლობასა; ჭირისუფლობდა და ჭირისუფლობს გახშირებულს, თვალ-საჩინოდ გახშირებულს სიკვდილსა. საზრდოს უქონლობას მეტად შემზარავი სურათად გვიხატავს ხალხი ყოველ დღე და განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეს თელავის საქალაქო ყანთარზედ, სადაც მუდამ აუარებელი მყიდველი სოფლელი კაცი და დედაკაცი 1 მ. 20 კაპ. 1 მ. 40 კაპ. თითო ფუთობით პურს ჰყიდულობს და ფუთს 60 კ. სიმინდის ფქვილს. უყურებს კაცი, რომ ერთი საცალო ფქვილი ნაწილდება 7—8 მსყიდველს შორის და უნებურად ჰფიქრობს, — „როდემდის გაგყვება, შე საცოდაო, ეგ ერთი ფუთი ფქვილი?" სოფლისავე დედაკაცები და კაცები გამომცხვარ პურსაც ჰყიდულობენ სოფლისავე იმ დედაკაცებისაგან, რომლებსაც პურის ცხობა და თელავში ყიდვა ხელობად გაუხდიათ. გამომცხვარს ის სოფლელები ჰყიდულობენ, რომელთაც ვერ უშოვნიათ იმდენი, რომ ერთი გამოცხობა ფქვილი იყიდონ.

მე წარსულს შემოდგომაზედვე ვაცნობებდი მკითხველს, რომ საოცრად გახშირებული იყო ციებ-ცხელება; სახლი არ იყო—ავადმყოფი არ სწოლოდათ და ბევრგან შეიდირვა სული, ზოგან მთელი სახლობა იყო ავად. ამას მოჰყვა ფილტვების ანთება, რაც უფრო მუშა ხალხს ემართებოდა და ემართება. ისე გახშირდა ეს ავადმყოფობა, კაცს ეგონება გადასადებიაო. რასაკვირველია, რ თნაირ გარემოებათა შედეგიც ერთნაირობს. საქმე ის არის, რომ მრავალნი იხოცებიან და ისიც რჩეულნი მუშაკნი. მე არ შემიძლიან სიჩქარისა გამო რიცხვებით აღვნიშნო, რომელ სოფელში რამდენი მოკვდა, ან რამდენს % შეადგენს, მაგრამ ერიცა და მღვდელიც განცვიფრებულია ამ სიკვდილის სიხშირისაგან. ამისთანა შემთხვევაში ორი-კი არა, 20 ექიმიც არა კმარა. არის სოფლები, სადაც ორი და სამი დაუსაფლავებიათ ერთს დღეს,რაც კვლავ არ ყოფილა. ყველაზედ საყურადღებო ის არის, რომ ახლად დაოჯახცებულნი და ოჯახის ნამდვილნი ბურჯნი მუშაკნი იხოცებიან. მაშ არა ჰმართებთ დარჩენილს ქვრივობრებს და ობლებს ჭირისუფლობა?!. ეჰ, მეტი ენა და გონება უნდა ჩამოთვლილ სოფლელების მდგომარეობის აშწერსა, ვიდრე ეს საუნჯე თქვენს უმორჩილესს მონას მოეპოვება, ბ-ნო მკითხველო. შემიძლია მხოლოდ დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ უბედურ მდგომარეობის მიზეზი მოუსავლობაა და ისიც მოუსავლობა ღვინისა. როცა ღვინო მოსდის კახელს, მაშინ ღვინის წყალობით იგი უკეთესადაც იკვებება, უკეთესად იმოსება, ჭერის აუხდელად, ქვაბისა და სხვა საჭირო ნივთის გაუღებლად იხდის აუცილებელს ხარჯსა და ყველა ამის შემდეგ ძალიან ძვირად ავადმყოფობს. როცა ღვინო არ მოსდის, ძალ-დატანებით დღე და ღამე ჭირისუფლობს. ამიტომ კახელის კეთილის-მყოფელის სრული ყურადღება იმად უნდა იყოს მიმართული, რომ ღვინის მოსავალს ხელი შეუწყოს. აგერ ორი წელიწადია და მესამე გადის, დასტამბულის სიტყვით და პირად მოლაპარაკებით ვეხვეწები ადგილობრივ ინტელიგენციას იკისროს ხალხისათვის ვაზის წამლობის გაადვილების და მისის გავრცელების საქმე. ათასჯერ გამიმეორებია და კიდევ ვიმეორებ, რომ ვაზის ავადმყოფობის ღვთის ანაბარად დაგდება თანასწორია, ხოლერობის დროს ხალხის უყურადღებოდ დაგდებასთან. ვიმეორებ, რომ ხოლერობის შედეგიც ხალხის გაწყვეტაა და კახეთში ღვინის მოუსავლობის შედეგიც ხალხის იგივე გაწყვეტაა. თუ-კი ხოლერობას-მეთქი, ვამბობდი, ბანკებიც ფულს გადასდებენ, ინტელიგენციაც სოფლებისაკენ გაეშურება საშველად, რატომ ვაზის ავადმყოფობასაც ასევე არ უნდა მოვეპყროთ, რაკი შედეგი ორივესი ერთი და იგივეა? ხალხმა შეიგნო წამლობის სარგებლობა, მაგრამ სარგებლობის შეგნება არა კმარა, საჭიროა, მრავალი სხვა გარემოება, რომ ხალხმა უწამლოს. მართალია, ინტელიგენცია თავისის ჯიბიდგან ვერ დააკმაყოფილებდა წამლობის გამო წამოყენებულს ყველა მოთხოვნილებას, სამაგიეროდ თვისის შრომით დიდად გააადვილებდა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

დღეს ხალხი გალატაკებულია, ვაზს-კი წამლობა ძალიან ეძვირება. უამისოდაც ცივ ზამთრისაგან ვენახი საგრძნობლად დაზარალებულია: ვაზი გადახმა. ზოგმა სოფლელებმა კიდეც იფიქრეს მომავლისათვის. მისცეს თხოვნა ბ-ნს გუბერნატორს, რომ სესხობრივ მიეცეთ სასურსათო თანხიდგან საჭირო ფული მანქანების შესაძენად. ვგონებ, თხოვნა დაგვიანებულია და აქედგან იმათ არაფერი შეღავათი არ მოელის. ყველაზედ ძნელი შესაძენი არის ვერმორელისა და გოგირდის საბერავ მანქანების შეძენა, რადგანაც კარგა ფული უნდა. კარგს ინებებდა სათავად-აზნაურო ბანკის კრება, რომ თითოეულ დაზარალებულ სოფლისათვის რამდენიმე ვერმორელის და საბერავი მანქანა შეეწირა. მოუსავლობი-

---

სასიამოვნო მოვლენას ვხედავთ: უმაღლესს სასწავლებლებში სწავლადამთავრებულნი ქართველნი იწყებენ ბერ-მონაზონად შესვლას და ამ გზით სამსახურს ერისა და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. ამგვართ ეკუთვნიან: ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, იგუმენი ქვათა-ხევის მონასტრისა კირიონი (გ. საძაგლიშვილი), ბერ-მონაზონი დიმიტრი (აბაშიძე)და სხვ.

აი, ეს ათი წელიწადია, რაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდე ჰმოღვაწეობს ძნელს სამონაზონო ასპარეზზედ. მისი მოღვაწეობა ამ სარბიელზედ იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ საზოგადოებას მისი მრავალ ფოთლიანნი და კეთილ ნაყოფიერნი შრომა და ბიოგრაფიული ცნობანი.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ერის კაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, არის შვილი სოლომონ მღვდლისა. იგი ღვიძლი ძმისწულია ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრესი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა. დაიბადა გორის მაზრაში, სოფელ ნაქალაქევში, 1861 წ., მაშასადამე ჯერ ყმაწვილი კაცია, 37 წ. თავდაპირველი განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იმ თავითვე ყველა მოსწავლეების და მასწავლებლების ყურადღებას იზიდავდა, როგორც ღვთის მოსავი, სათნო ხასიათის და სწავლაში გულ-მოდგინე ყმაწვილი. სასულიერო მოღვაწეობის მისწრაფება და ბერულ ცხოვრების ტრფიალი მას თანდათან ემატებოდა და განსაკუთრებით განუცხოველდა კიევის აკადემიაში ყოფნის დროს, სადაც მეოთხე კურსზედ მან თავისის წმ. ცხოვრებით ცნობილის აკადემიის რექტორის სილიბისტრეს ზედ-გავლენით სურვილი განაცხადა ბერად აღკვეცისა და კიდეც აღიკვეცა 1887 წ. მეორე წელს მან დაამთავრა წარჩინებულად სასულიერო აკადემიაში სწავლა, მიიღო ღვთის მეტყველების კანდიდატობის ხარისხი. ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მონაზონად და გამოემგზავრა სამსახურისთვის საქართველოს საექსარხოსოში.

ამ საუკუნის დასაწყისში, შემდეგ ერთ-მორწმუნის ძლევა-მოსილის რუსეთის სახელმწიფოს მიერ თავისს მფარველობის ქვეშ საქართველოს მიღებისა, თუმცა ამ ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობა და მტერთაგან უშიშრობა, მაგრამ მრავალ საუკუნეთა ჩაგვრამ მაჰმადიანთ ქრისტეს ჯვარისა და სარწმუნოების მტერთაგან, ღრმა შავ-ბნელი კვალი დაასვა ქართველების ცხოვრებას და მათ სარწმუნოებით-ზნეობრივს შეხედულებას. ამ ზნეობრივ-დამაქვეითებელ გავლენას მოჰყვნენ მომეტებულად უფრო საქართველოს განაპირა ნაწილები და ხალხნი: თუშ-ფშავ-ხევსურნი, ინგილო-გაღმა-მხარელნი; ოსნი აბხაზნი, სვანნი, ქობულეთელ-აჭარელნი და სხვ. საზოგადოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს განაპირა ერნი. თუმცა ქრისტიანობა ამ ქვეყნებში აი ეს მე-15 საუკუნე იქმნება, რაც გავრცელდა, მაგრამ სარწმუნოებრივი მათი რწმენა-შეხედულება ძალიან შორსა სდგას ქრისტიანულ მართლ-მადიდებლობითის ეკკლესიის დოღმატიურ სწავლისა და წესრიგისაგან. სარწმუნოება მათი გარყვნილია მაჰმადიანობითა და წარმართობით, მართლ-მადიდებელ სამღვდელო კაცთ გარდა, იმათა ჰყავთ თავიანთი სამღვდელონი: ხუცეს-დეკანოზები და სხვ.

აი, ამისთანა სურათს წარმოადგენდა მდგომარეობა ამ საქართველოს განაპირა ნაწილების ხალხთა, რომელთ სულიერ ხელმძღვანელად, სარწმუნოების-ზნეობრივ მხრივ, იყო მოწოდებული ჯერედ ახალგაზდა, ახლად აკადემიაში სწავლა დამთავრებული მღვდელ მონაზონი ლეონიდე, დანიშნული მისსიონერად და ინსპექტორად ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა იმ დროის ექსარხოსის, აწ უპირველესის სინოდის წევრის, მიტროპოლიტის, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის პალლადის მიერ. დიდი უვიცობის უტეხი ტყე იდვა წინ გასაკაფავად ყოვლად სამღვდელოს. რომელს მარტო-ხელს მთესველს შეიძლებოდა არ გასტეხოდა გული განათლების თესვის დროს იმისთანა ყამირში, რომელსაც განათლების ბარი და საკვეთი პირველად ჰხვდებოდა. მაგრამ ასეთი როდის არის ყოვლად სამღვდელო. მან თავისის მგრძნობიარე გულით აღლო აიღო, რომ განათლება ის ქვა-კუთხედია, ის დედა-ბოძია, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული თალი ჩვენის ერის კეთილდღეობისა. ამიტომ მანამ ამ დედა-ბოძს მკვიდრს ნიადაგზედ არ დააყენებდა, ამ ქვა-კუთხედზედ არ ააგებდა საკურთხეველს პატიოსანის შრომის თაყვანის-მცემელთათვის, მანამდე ნამდვილის წარმატებისა და განათლების მადლი ჩვენ იქმნება არ გვღირსებოდა და მოგვხდომოდა.

თავისის სამშობლო ერის ამისთანა არა-სანატრელ მდგომარეობისა გამო ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა იდო თავს მოღვაწეობა, რათა გაენათლებინა ნათლითა ქრისტეს სახარებისათა ეს მივარდნილნი საქართველოს კუთხენი. თავისის აზრის მისაღწევად მან აღირჩია ორი საშუალება: სკოლა და ცხოველი ქადაგებითი სიტყვა.

თანამდებობაზედ დანიშვნის უმალ მას ვხედავთ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში. მთელის თვეობით სცხოვრებს იგი მთებში, სადაც ჰქადაგებს და არიგებს ხალხს ხან ერთს, ხან მეორე, ხან მესამე სოფელში. მას შეხვდებით თერგის ოლქში, თუ-

საგან დაზარალებულ სოფლელების ვენახები უწამლობით ამოვარდება, რაც ხალხის ამოვარდნას ეთანასწორება და დახმარება ეჭირვებათ ვერმორელისა და საბერავ მანქანებით და, თუ შეიძლება, შაბიამან-გოგირდითაც.

ამასთან იმედი ვიქონიოთ, რომ წელს მაინც მოჰკიდებს ხელსა შეგნებული ნაწილი კახელობისა და დღე-მუდამ გამუდმებულ ჩაგონებით, მაგალითის ჩვენებით, საშუალებათა გაადვილებით, ხელმძღვანელობას გაუწევს ხალხს ვაზის წამლობაში. უამისოდ დაჯერებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ სიკვდილის სიხშირე უფრო იმატებს და ხალხი უკიდურესობამდე მიაღწევს. ნურავინ იტყვით, რომ უხვენოდაც არიან ამ საქმეში გზის მაჩვენებელნიო. შემცდარი აზრია. მათი ყოფნა არ ყოფნას არაფრით არ აღემატება და ხალხისათვის არავითარი სასარგებლო შედეგი არ გვინახავს. ყველამ კარგად იცით, რომ, იმ ერთის აფიცრისა არ იყოს, რომელმაც ციხას აღების მიზეზი ასი ჩამოთვალა, რომელთა შორის პირველი ტყვია-წამლის უქონლობა იყო, რაც მხოლოდ საკმაო მიზეზია ციხის აღებისა, შემიძლიან მეც ასი მიზეზი დავასახელო და პირველი-კი ენის უცოდინარობა და ხალხის ზნეჩვეულების შეუგნებლობაა. ვგონებ, ხალხში მომქმედისათვის მარტო ენის უცოდინარობა, შეერთებული ხალხის უსიყვარულობასა და ზნე ჩვეულების გაუგებრობასთან, საკმარისი მიზეზი იყოს მისის უქნარობისა და თუ ამას არ დამჯერდებით, 99 მიზეზიც სხვა მაქვს გამზადებულ-გამოწყობილი.

რა ბედნიერი იქმნება დაზარალებული კახელი, რომ სამში ერთმა მაინც მოჰხედოს, თუ სამივემ არა! გახსოვდეთ, რომ უცნაურად გახშირებულია სიკვდილი!

ნადიკვრელი

## წერილი თელავიდგან

—

პარასკევს, 10 აპრილს, თელავის საზოგადო კრების დარბაზში აქაურის სცენის მოყვარეთაგან ქ-ნ ბ. ა. ვიტოვიჩის მოთავეობით გამართულ იქმნა რუსულ-ქართული წარმოდგენა. რუსულად წარმოადგინეს ორ-მოქმედებიანი ფარსი „Заварила кашу—расхлебывай“, ვ. ალექსანდროვისა, და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „Угнетенная невинность“-ი, მისივე; ხოლო ქართულად, ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. ორივ წარმოდგენამ, მშვენივრად ჩაიარა. ქართულ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ჩვენი არტისტი ბ-ნი დ. აწყურელი, რომელმაც ტარასის როლი საუცხოვოდ შეასრულა.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა. ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყეფდა, რომ ყოველთვის აგრე გულ მხურვალედ ეპყრობოდეს ხოლმე საზოგადოება ამ კეთილ საქმეს.

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადადებული იყო თელავის საზოგადო კრების დარბაზში [ამუდამო სცენის ასაგებად.

დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ვ. ი. ვიტოვიჩი და ქ ნი ბ. ა. ვიტოვიჩისა, რომელნიც დაუღალავად იღვწიან ყოველ საზოგადო და კეთილ საქმეში; აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ზისსერმანისა და შირსკისა და ყველანი, ვინც-კი მონაწილეობა მიიღო ამ კეთილს საქმეში უანგარო დახმარებისათვის. იმედია შემდეგშიაც დაეხმარებიან ამგვარ საქმეს.

წარმოდგენის დასასრულს მცირე ვახშამი გაიმართა.

იმედია, ბ-ნი ვ. ი. ვიტოვიჩი თავისს დაუღალავს მკლავს მიაწვდის და ჩვეულებრივად მკურნალად გადაქცევა ადგილობრივ წიგნთ-საცავს, რომელიც კარგა ხანია საშინელს სენს შეუპყრია და საცაა თან გადაიტანს.

ფუნჩა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ახუთი**, (ზუგდიდის მაზრა). 1877 წლიდგან აქ არსებობდა ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. 1887 წლამდის ადგილობრივი საზოგადოება უმაყოფილო იყო ამ სკოლისა, ხოლო 1887 წელს მთელის სამეგრელოს სამინისტრო სკოლებ შორის აქაურ სკოლაშიაც მოსპობილ იქმნა ქართულის ენის სწავლება. წარსულის წლის აგვისტოს ბოლოს ადგილობრივის სამღვდელოების მეცადინეობითა და მოვაჭრეთა დახმარებით გახსნილ იქმნა წერა-კითხვის საეკკლესიო სკოლა, სადაც პირველ სეკტემბრისათვის კიდეც მოგროვდა 90 ყმაწვილი, ხოლო სამინისტრო სკოლა მთლად დაცალიერდა. დირექციამ მოინდომა ერთ-კლასიანის სამინისტრო სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება, ისე-კი, რომ უფროსის მასწავლებლის და სამღრთო სჯულის მასწავლებლის ჯამაგირი დირექციას თავისი საშუალებიდან მიეცა, თუ სკოლაში ბავშვების საკმაო რიცხვი იქნებოდა. დღეს სამინისტრო სკოლაში 80 ბავშვია, საეკკლესიოშიაც 90-ია. წარსულის წლის დეკემბრის თვეში ადგილობრივ სამღვდელოებამ, თავად-აზნაურებმა და მოვაჭრეებმა სთხოვეს ბ-ნს გურია-სამეგრელოს საეკკლესიო სკოლათა მეთვალ-ყურეს თ. ჟორდანიას, რომ ეშუამდგომლა უმაღლესის მთავრობის წინაშე ორ-კლასიან სამრევლო სკოლის დაარსებისათვის, თავიანთის მხრით-კი დროებით 1500 მან. და საჭირო მიწა აღუთქვეს. სააღდგომოდ საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს მიუღია მოწერილობა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორისაგან, რომლიდგან სჩანს, რომ უწმიდესის სინოდის საშუალებით არსდება სოფ. ახუთში ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა და ინიშნება იმის შესანახად ყოველ წლივ 750 მანეთი. ამ დროობით უწ. სინოდი იძლევა საჭირო ფულს სასწავლებლის შენობის ასაშენებლად. ასე კარგად წავიდა ახუთელების საქმე. მომავალ პირველ სექტემბრისათვის ახუთში დაარსდება ორ-ორი კლასიანი სამრევლო და სამინისტრო სასწავლებლები.

ს. ახუთში არის 60 სავაჭრო დუქანი. ამ სავაჭრო ადგილს სამღებრო ჰქვიან. მოვაჭრეთა თხოვნით მთავრობას გზა-ტკეცილი გაჰყავს ს. ნაქალაქევიდგან დ. სამღებრომდე, ასე რომ ახალ-სენაკიდგან სამღებრომდის შესაძლებელ იქმნება ყოველნაირი ეტლების მიმოსვლა.

ზუგდიდის მაზრაში მთავრობა აარსებს მეოთხე უწნის ბოქაულის ადგილს: ახუთელებს იმედი აქვთ, რომ მასი ბინა დ. სამღებროში იქმნება.

X.

## რუსეთი

—

ამ ჟამად გზათა სამინისტროში შუამდგომლობაა წარდგენილი სამხრეთ რუსეთის გუბერნიების მებაღეთა იმის შესახებ, რომ რუსეთის რკინის გზებით ხილეულობის გადატან-გადმოსატანად შეღავათიანი გარდასახადი იქმნას დაწესებულიო.

— ახლად გამოქვეყნებულ განკარგულებით აღკრძალულია ვექსილებსა და ყოველ-გვარ საბუთის ქაღალდებზედ წერა: „მან. თეთრი ფული“ და ამის მაგიერ უნდა აღინიშნონ ხოლმე მხოლოდ ამდენი და ამდენი „მანეთიო“.

— რუსეთის სატეხნიკო საზოგადოებასთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს სპეციალ სასწავლებლის დაარსების შესახებ ფოტოგრაფიის ხელის მცოდნე კაცთა მოსამზადებლად.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ამ ზაფხულსავე დაიწყონ პრაქტიკული მეცადინეობა უნივერსიტეტების იმ სტუდენტთ, რომელნიც ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტზედ დაამთავრებენ სწავლას და მოისურვებენ ამ ინსტიტუტის სტუდენტად ჩარიცხვას.

— სახელმწიფო საბჭო ამ ახლო მომავალში განიხილავს პროექტს ქალაქების განთავისუფლებისას საპატიმროების გათბობა-განათების ხარჯისაგან.

— სატარიფო კამიტეტმა არ შეიწყნარა თურმე შავის ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემცირებულის გადასახადით იქმნას ხოლმე გადატანილი რუსეთის რკინის გზებით შავი ქვაო.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს რაიმე ცვლილება შეიტანოს ქალაქის ბანკების წესდებაში, სახელდობრ სათადარიგო თანხის დაარსების საქმეში.

— წელს სამხედრო-იურიდიულ აკადემიაში შესასვლელ ეგზამენის გარდახდის ნება მხოლოდ 30 აფიცერს მიეცემა თურმე.

— განზრახვა აქვთ ამ ზაფხულს მთელის რუსეთის კბილის მკურნალთა და დანტისტთა კრება გამართონ ქ. პეტერბურგში.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დეპარტამენტს აზრადა აქვს განსაკუთრებული წეს-რიგი შემოიღოს დაბალ და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ სხვა-და-სხვა ხელობის შესწავლის საქმის გასაძლიერებლად.

— სასულიერო უწყების ქვემდებარე სასწავლებლებს მოსწავლეთ საზაფხულოდ დაითხოვენ თურმე 15 ივნისს ორის თვის ვადით.

— ამ ჟამად პეტერბურგს იმართება კრება კანსერვატორიებისა და სამუსიკო სასწავლებელთა დირექტორებისა ამ სასწავლებლების საერთო პროგრამმის შესამუშავებლად.

— კერძო კაცთა თაოსნობით კატების გამოფენა იმართება ქ. პეტერბურგში.

## უცხოეთი

—

**ისპანიისა და შეერთებულის შტატების ომი**. თუმცა კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მანილში ბრძოლა მოხდა, მაგრამ მაინც დაწვრილებითი ცნობები ამ ბრძოლას შესახებ ჯერჯერობით არ მოსულა. გაზეთების სიტყვით, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მანილში თითქმის არც ერთი გაზეთის კორესპონდენტი არ იყო, არავინ მოელოდა, რომ პირველი ბრძოლა იქ მოხდებოდა, ყველამ უმთავრესი ყურადღება კუბას მიაქცია და ამიტომ გაზეთებმა თავიანთი კორესპონდენტები იქ გაგზავნეს. უკანასკნელმა გაზეთებმა ზოგიერთი ცნობები მაინც მოიტანეს ამ ბრძოლის შესახებ. გაზეთ

---

შეთში, ხევსურეთში, ფშავეთში, აბხაზეთში, გაღმა-მხარში ლეკებსა და ინგილოების შორის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და სხვ. ზოგს ადგილას ხსნის იგი სკოლებს, ზოგან ეკკლესიის კრებულთათვის სადგომებს, ზოგან აღადგენს ნანგრევთაგან „ტაძართ შთენთ დიდებულთა და მონასტერთა აოხრებულთა“, სადაც ძველად ჰყვავოდნენ და აღიზრდებოდნენ საქართველოს ერთგული მოღვაწენი.

მისის მეცადინეობით, სხვათა შორის, აღდგნენ ნანგრევთაგან თვისთა ქურმუხისა და თასმალოს ეკკლესიანი, ზაქათლის ოლქში, სადაც აშენებულ იქმნენ ეკკლესიის კრებულთათვის სადგომები.

ენა-ტკბილმა და თავაზიანმა, მარტივმა ცხოვრებაში და ყველასათვის მისაწდომ მოსახვედრმა, გულ-კეთილმა და წრფელმა ყოვლად სამღვდელომ მოღვაწეობის დასაწყისიდგანვე მიითვისა და დაიახლოვა ყველანი, ვისთანაც-კი საქმე უნდა დაეჭირა; გაამხნევა თითქმის სასოწარკვეთილი მასწავლებლები ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებლებისა; გაუღვიძა მოწაფეთ ცნობისმოყვარეობა სწავლის შესათვისებლად და მისაღებად; შეაგნებინა მოსწავლეთა მშობლებს ბავშვების ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ აღზრდის უპირატესობა და საჭიროება და სხ. ს-ულ მცირე ხნის განმავლობაში ყოვლად სამღვდელომ გააორკეცა რიცხვი იმ 25 საზოგადოების სასწავლებლისა, რომელიც ჩაიბარა მან გაწესების დროს. ყველგან დაიყოლია ხალხი აეშენებინათ სასწავლებლისათვის ახალი და მოხერხებული შენობები და ბავშვები მიეცათ სასწავლებლად სკოლაში.

არა ნაკლებ მრავალ ფეროვანი და მრავალ ნაყოფიერი იყო მოღვაწეობა ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა ქიზიყში. მისის შრომისა და თაოსნობით გადაკეთებულ იქმნა აქ საწინამძღვრო შენობა და შესანიშნავი ტაძარი ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრისა, დიდებული ნაშთი მეშვიდე საუკუნისა. დაეკო ახალი იატაკი ტაძარში, დაედგა ახალი მშვენიერი ლუსკუმა წმ. სტეფანეს საფლავზედ, გაილესა და გამშვენიერდა ტაძარი, შეაკეთებინა კარგად ვენახი და სხვ. და სხვ. აქვე გაიხსნა საეკკლესიო სამრევლო სკოლა. ეს უკანასკნელი პირველ ხანში ინახებოდა ყოვლად სამღვდელოს ხარჯით, მხოლოდ ბოლოს დროს, მისის შუამდგომლობით უწმიდესმა სინოდმა დანიშნა მისს შესანახად 300 მანათი. ყოვლად სამღვდელოსავე თაოსნობით გაიხსნა ასეთივე სკოლა ხაშმში მშვენიერის, კარგად მოწყობილის შენობით და 300 მანათი მასწავლებელისათვის ჯამაგირად.

ასეთი ერთგული და მრავალ ნაყოფიერი სამსახური ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, რასაკვირველია, არ დარჩა უყურადღებოდ უწმიდესის სინოდისაგან. ერთგულის სამსახურისათვის და სამაგალითო ცხოვრებისათვის მღვდელ-მონაზონი ლეონიდე ისევ 1889 წ. დაჯილდოებულ იქმნა ხაპარკულით; იმავე წელს დაინიშნა ქართლის საეპარქიო სამრევლო საბჭოს წევრად. ძალიან მალე, შემდეგ ამისა, ნაყოფიერი სამისსიონერო მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებულ იქმნა მკერდის ჯვრით და აღყვანილ ზედაძნის მონასტრის წინამძღვრად. 1893 წ. უწმიდესის სინოდის ბრძანებისამებრ დანიშნულ იქმნა ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად და აღყვანილ არხიმანდრიტის ხარისხზედ, ამასთან დარჩა მისსიონერად და ინსპექტორად. იმავე წელს არხიმანდრიტი ლეონიდე დაინიშნა ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად. 1896 წლიდან იგი გადმოყვანილ იქმნა დაჯილდოებით სინოდის ქართლ-იმერეთის კანტორის წევრად და წინამძღვრად იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოისა.

ამ ბოლოს დროს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს ცოტა შრომა არ მიუძღვის, როგორც თავმჯდომარეს სიონთან დაარსებულის არქეოლოგიურ სიძველეთა მუზეუმისას, თავმჯდომარეს დაბადების გამასწორებელ კომიტეტისას და თავმჯდომარეს სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოსას.

მეორე მხარეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოღვაწეობისას შეადგენს, როგორც ვსთქვით, მისნი მოძღვრებანი და ქადაგებანი. ყოვლად სამღვდელომ, როგორც სიყრმითვე თანაშეზრდილმა თავისს სამშობლოს ბუნებასთან და თანამოძმეების სვე-ბედთან, კარგად იცის ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ზნეობრივი მათი ელფერი, გონებრივი შეხედულება და სარწმუნეობრივი გრძნობა. ამისათვის ყოველი მისი სიტყვა დიდად ჰმოქმედებს ხალხზედ და ღირსეულის ნაყოფითაც გვირგვინდება, რადგანაც იგი შეთანხმებულია ადგილობრივ ვითარებასთან, რაიცა აორკეცებს მისს მოღვაწეობას ამ სარბიელზე.

წმიდის გრძნობით მიულოცავთ მღვდელ-მთავრობის ხარისხის მიღებას და ვისურვებთ მისთვის ხანგრძლივს მოღვაწეობას სამშობლო ერისა და ქრისტეს ეკკლესიის სასარგებლოდ. დიდად მოხარულნი ვართ, რომ ღვაწლი, შრომა, ნიჭი და განათლება ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა ღირსეულად დაფასებულ იქმნა.

მით უფრო გვიხარის, რომ მას ჰხვდა წილად სამსახურისათვის ის ქრისტიანობის უძველესი აკვანი, რომელსაც შეადგენს დედა ქართლი.

ა. ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Temps"-ს დეპეშით ატყობინებენ მადრიდიდგან: „როგორც ეხლა გამოირკვა მანილის ნავთ-სადგურში ორი ბრძოლა მოხდა ისპანიისა და შეერთებულის შტატების ესკადრის შორის. მანილის პირდაპირ, ნავთ-სადგურის სამხრეთის ნაპირზედ მდებარეობს დაბა კავიტე, სადაც კარგი სიმაგრეა აღმართული. როდესაც ამერიკის ესკადრა ნავთ-სადგურს მიუახლოვდა, ისპანიის ესკადრა ამ სიმაგრესთან გამწკრივდა. პირველ ბრძოლის დროს ამერიკის გემებს ნახშირი შემოაკლდათ, ამიტომ ბრძოლას თავი გაანებეს და უკან დაბრუნდნენ ნახშირისთვის, ისპანიელებმა ეს არ იცოდნენ და ეგონათ, რომ გავიმარჯვეთო, მაგრამ ამერიკელები მალე დაბრუნდნენ და ისე ძლიერ დაუშინეს ყუმბარები ისპანიის ესკადრას, რომ ეს უკანასკნელი ცოტა ხნის შემდეგ სრულიად მიწასთან გაასწორეს. ბრძოლის შემდეგ ამერიკის ესკადრა მანილის პირდაპირ, ნავთ სადგურის მეორე მხარეს დადგა. მანილის მცხოვრებლები შიშისაგან ქალაქს თავი მიანებეს და სოფლებში გაიხიზნენ. ისპანიის არც ერთი სამხედრო გემი თავის ნებით არ დამორჩილდა ამერიკას, უმეტესობამ აფეთქება არჩია მტრის ხელში ჩავარდნას. ბრძოლის დროს სხვათა შორის მოკლულ იქმნა ორი გემის უფროსი". ამერიკის გაზეთი „New-Vork-Herald"-ი სწერს იმავე ბრძოლის შესახებ: „ამერიკის ფლოტი ნავთ-სადგურში კვირას შევიდა. დილის ხუთ საათზედ, როდესაც ფლოტი კავიტეს პირდაპირ გაჩერდა, სიმაგრეებიდგან და გემებიდგან ისპანელებმა ყუმბარები დაუშინეს. მაშინ ამერიკის ესკადრამ უფრო წინ წაიწია და დაუყოვნებლივ ყუმბარებითვე პასუხი გასცა. ამ ბრძოლამ ნახევარი საათი გასტანა. შემდეგ ამერიკის ესკადრამ უკან დაიწია, მაგრამ მალე ისევ მიუახლოვდა ისპანიის გემებსა და სიმაგრეებსა და 20 წუთის გაცხარებულის ბრძოლის შემდეგ ისპანიის ფლოტს ბოლო მოუღო. ისპანიის სამი გემი დაიწო, ერთი ჩასძირა, დანარჩენთ ყუმბარების სროლაზედ ხელი აიღეს. ისპანელნი მამაცად იბრძოდნენ. მოკლულთა რიცხვი მათ შორის მალიან ბევრია. თორმეტის ნახევარზედ ამერიკის ფლოტი ხელახლა მიუახლოვდა კავიტეს. ყუმბარებს მხოლოდ ნაპირების სიმაგრეებიდგან-ღა ისროდნენ, მაგრამ ამერიკელებმა ისინიც მალე ჩააჩუმეს. ამერიკელებმა ამ ბრძოლის დროს დიდი მამაცობა, ჭკუა და უნარი გამოიჩინეს". გაზეთების სიტყვით, ამერიკელების გამარჯვება აიხსნება იმით, რომ ამერიკის ფლოტი გაცილებით უფრო კარგად იყო შეიარაღებული და საზოგადოდ მომზადებული ბრძოლისათვის, ვიდრე ისპანიის ფლოტი. გარდა ამისა არც მანილიის ნავთ-სადგური ყოფილა კარგად გამაგრებული. —ინგლისის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ ამ დღეებში უთუოდ დიდი ბრძოლა მოხდება კუბის ან პორტორიკოს მახლობლად. შტატების მთავრობამ ნამდვილის წყაროებიდგან შეიტყო, რომ ისპანიის ფლოტი მწვანე კონცხიდგან სწორედ ამ ადგილებისაკენ გაემართა. ამის გამო კუბაში მყოფის ამერიკის ფლოტის უფროსმა ადმირალმა სამპსონმა შესაფერი ინსტრუქცია მიიღო. ინსტრუქციის ძალით ეს ფლოტი, რომელიც 54 გემისაგან შესდგება ორ ესკადრად უნდა განაწილდეს. უმთავრესი ესკადრა, რომელიც პირველ ხარისხოვან გემებისაგან შესდგება, ისპანიის ფლოტს უნდა შეებრძოლოს. ამ ესკადრას დაეხმარება მსწრაფლ მოსიარულე ესკადრაც ადმირალის შლეისა. ხოლო მეორე ესკადრა კუბის ნაპირებს თავს არ დაანებებს და ეცდება, რომ ჯარი კუბაზედ გადასხას. ამერიკელებმა უკვე გადასწყვიტეს, რომ ჯარი საგვა-ლანდესა და გაბარიენანსის შუა გადასხას, სადაც მეამბოხეთა მთავარ-სარდლის, გენერალ გომეცის მეომარნი არიან დაბანაკებულნიო.

— ინგლისის გაზეთების სიტყვით, ამერიკის ქალაქ კონნეკტიკუტის ერთის დიდის ქარხნის მუშებმა, როდესაც პრეზიდენტის ეპისტოლე მიიღეს, რომლითაც იგი ამერიკის მოქალაქეთ საომრად იწვევდა, ამბოხება მოახდინეს და დიდი უარი განაცხადეს, საომრად არ წავალთო. როდესაც ეს ამბავი იმათთან ერთად მომუშავე დედაკაცებმა შეიტყეს, საშინლად აღელდნენ თავიანთ ამხანაგების ასეთის საქციელით და შემდეგის სიტყვით მიჰმართეს მათ: „აი, თქვე მშიშრებო, თქვენა! მოგვეცით თოფები, თქვენ მაგიერად საომრად ჩვენ წავალთო!" მუშებს შერცხვათ და ცოტაოდენის მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტეს თურმე, რომ საბრძოლველად წავიდეთო.

## დამაკვირდი

მეგობარნო, ნუ გმულთ ნურავინ, ეს დუხჭირთა, სულელთა და მატრაკვეცათ მიაჩემეთ. სიძულვილი ნიღბია, რომლითაც პირს იმშვენებს არარაობა, გონებრივი სიღატაკე, სიძულვილი კეთილის გულისა, ჭკუისა და ადამიანთა ცოდნის ნაკლებულობის ნიშანია.

დოდე

* * *

არ გეჯიბრები სენეკავ! მაგრამ ეს რად არის ამ ქვეყნად ასე დაარსებული, რომ სადაც ორი ადამიანია, იქ ერთსა და იმავე საგანზედ ორი სხვა-და-სხვა აზრიც არის?

მაიკოვი

* * *

სწავლა, ვითარცა წამალი ცხოვრებისა, მიიითვალიან.

წმ. გიორგი მთაწმინდელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩინეთის მინისტრსა და სენ-ჩია-ნაის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს შეუდგენია პროექტი პეკინში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. თავისს მოხსენებაში მინისტრი ძლიერა ჰკიცხავს ჩინეთის სწავლა-განათლების წეს-რიგსა. მინისტრი ამტკიცებს, ევროპა იმიტომ სჯობნის ყოველაფრით ჩინეთსა და იმიტომ არის საშიში, რომ იქ სწავლა-განათლების საქმე კარგად არის მოწყობილი. თუ რომ ჩინეთსა ჰსურს არ ჩამოუვარდეს ევროპას, უეჭველად უნდა შეითვისოს ევროპის ცივილიზაცია. შემდეგ მინისტრი ამტკიცებს, რომ ევროპის სწავლა-განათლების წეს-რიგის შემოღება სრულებით საშიში არ არის ჩინეთისათვის და ვერც ვერაფერს რევოლიუციას გამოიწვევს. ამასთანავე საჭიროაო, დასძენს იგივე მინისტრი, რომ ჩინეთის უნივერსიტეტში პირველი ადგილი ჰქონდეს დათმობილი ჩვენსავე მეცნიერებას, ხოლო დასავლეთ ევროპის მეცნიერებას კი მეორე ადგილი. მინისტრის პროექტით საჭიროა დაარსდეს ათი ფაკულტეტი, რომლებშიაც შემდეგს საგნებს ასწავლიან: 1) ვარსკვლავთ-მრიცხველობა და მათემატიკა; 2) გეოგრაფია; 3) ფილოსოფია და სარწმუნოება; 4) პოლიტიკა; 5) ლიტერატურა და უცხო ენები; 6) სამხედრო და საზღვაოსნო მეცნიერება; 7) აგრონომია; 8) ტეხნოლოგია; 9) ვაჭრობა; 10) მედიცინა. პირველ ხანს საკმარისია თითოეულ ფაკულტეტზე ოთხი პროფესორი იყოს—ორი ჩინეთელი და ორი უცხოელი. სტუდენტების არჩევაც ფრთხილად უნდაო, სწერს მინისტრი. მაგალითად, უნივერსიტეტში არ უნდა მივიღოთ 25 წლისაზე ნაკლების ხნის კაცი. სტუდენტებს მიეცემათ ყოველ თვე გადაწყვეტილი ჯამაგირი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 აპრილი

**შანხაი.** ხიაბნიკსუსა და იჩჟანის შუა დიდი არეულობა მოხდა, რომლის დროს დასწვეს სადამოჟნო შენობა და ბევრი სახლი, რომელიც უცხო სახელმწიფოთა კაცებს ეკუთვნოდა. დაწვრილებით ამბები ჯერ არ მოსულა.

**ნეაპოლი.** სტუდენტებმა უნივერსიტეტში მანიფესტაცია გამართეს და შემდეგ მეამბოხეთა ბრბოს შეუერთდნენ. სავაჭრო უბანს Pendino-ში ბრბომ მოიწადინა დელიუკის ქარხნის მუშებისათვის მუშაობაზედ ხელი აეღებინებინა. ჯარმა გაჰფანტა ბრბო. ბრბო ნავთ-სადგურისა და ზემო ქალაქისაკენ გაემართა, გზაზედ ქუჩებს ამაგრებდა და ცხენის რკინის გზის ვაგონებს აჩერებდა. ჯარმა რამდენჯერმე გაისროლა თოფები. დაჭრილ იქმა 4 ჯარის-კაცი და 13 პოლიციელი. ბრბოდგან ერთი მოკვდა, ხოლო 4 დაიჭრა. პროვინციაში, სოფლებშიაც აგრეთვე ამბოხებაა.

**ჰონკონგი.** როგორც მანილიდგან მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, დევე დარწმუნდა, რომ მანილიას მეამბოხენი იმისთვისაც საშიშონი არიან. ვერც იმან და ვერც ისპანელთ ვერ მოახერხეს მათი დამშვიდება. ქალაქში შიმშილობაა.

**მადრიდი.** რაც ეხლა პურია ერთს თვეს არ ეყოფა მცხოვრებლებს. ზომებია მიღებული, რომ შესყიდულ იქმნას პური საზღვარ-გარეთ.

პეტერბურგის ბირჟა, 28 აპრილი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა მან. კ. | გაყიდულისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ მანეთიანი ოქრო | — " | — " | — " |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა | — " | — " | 219½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | | 100 | — " |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა | 102 | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა | 100 | — " | — . |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | 102 | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა | 100 | — " | — " |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 100¼ | — " | — " |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — " | — " | 286¼ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — " | — " | 248½ |


# განცხადებანი

!!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცვიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—12)

# იძლევა ქირით

ცალკ-ცალკე ოთახები მარტო-ხელთათვის. შეიძლება **სადილითაც**.

ფრანგების ქუჩა, სახლი ტერ-პეტროზოვისა, № 3. (3—6.—1).

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ცხენების იარმუკობის დებულების თანახმად, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ იქმნა დამტკიცებული, ამა წლის 5 მაისს ქ. ტფილისში გამართული იქმნება ცხენების იარმუკა, რომელიც გასტანს 18 მაისამდის ამ დღის ჩათვლით. იარმუკა გაიმართება დიდუბეში.

(3—6.—2)

# სიცოცხლის დაზღვევა

დამზღვევ საზოგადოება

# „როსსიაში",

რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წელს.

საზოგადოების ნაღდ თანხას 32,000,000 მან. შეადგენს.

საზოგადოება მსურველთ აზღვევს ახალის გეგმითა და მეტად სასარგებლო პირობებით, სახელდობრ: ასეთის დაზღვევით შეიძლება შესდგეს:

თანხა, თუ ვინიცობაა სიკვდილმა უსწრო ადამიანსა.

საქვრივო პენსია.

მოხუცებულობის უზრუნველ-საყოფელი თანხა.

ემაწვილ ქალთა მზითევი.

სტიპენდია ემაწვილებისათვის.

სიკვდილამდე უზრუნველ-ყოფილი შემოსავალი.

1898 წლის 1 იანვრიდგან საზოგადოება როსსიაში დაზღვეულ იქმნა 49,736 კაცი 117,356,600 მანეთად.

მსურველთ განცხადება დაზღვევის შესახებ უნდა შემოიტანონ საზოგადოების სამმართველოში (ს.-პეტერბურგი. ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი № 37). საზოგადოების განყოფილებაში, ტფილისში (სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების მთლად იმპერიის ყველა ქალაქების აგენტებთან.

Заявленіе о страхованіи принимаются и всякаго рода свѣдѣнія сообщаются въ Правленіи въ С.-Петербургѣ (Большая Морская, собств. домъ, № 37), въ Отдѣленіи Общества въ г. Тифлисѣ (Сергіевская, домъ № 6) и агентами Общества во всѣхъ городахъ Имперіи.

(6—2)

1) **РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванію по книгѣ

## „РУССКОЕ СЛОВО",

იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, გადასწორებული და შევსებული, ფასი ყდიანი წიგნისა სამი აბაზი, უყდოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 48 კაპეიკად. წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში.

## 2) ОЧЕРКЪ СРАВНИТЕЛЬНОЙ ГРАММАТИКИ РУССКАГО И ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКОВЪ,

იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ერთი აბაზი, ვინც ათს ან მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩართულია პირველის ბოლოში და ამიტომ მყიდველმა პირველისამ არ უნდა იყიდოს მეორე. საწყობი ორივე წიგნისა არის ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(6—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Апрѣля 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.